საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და
ეთიკის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 127 17/09/2015

ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული იქნა 16 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 26 საკითხი, აქედან საანგარიშო პერიოდში 15 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით 2 სხდომა, განხილული იქნა 2 საკითხი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის მიზნით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის და გენდერის“ რეგისტრაციის თაობაზე.

აღნიშნული 2 საკითხიდან პირველზე საკრებულოს მოხსენდა ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმის შედეგები, რომელიც დამტკიცებულ იქნა, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით მიღებული უარყოფითი დასკვნის თაობაზე მოხსენდა საკრებულოს ბიუროს, თუმცა საკითხი საკრებულოს დღის წესრიგში აღარ შეტანილა ფრაქციის თავმჯდომარის მიერ შემოტანილი განცხადებიდან გამომდინარე, რომლითაც მოითხოვა ფრაქცია „ოზურგეთი და გენდერის“ რეგისტრაცია შეწყვეტილიყო და არ მისცემოდა მსვლელობა.

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია